



სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი
CENTER FOR CIVIC INVOLVEMENT



ქალის გენდერული როლი საზოგადოებაში

გურამ გუდაშვილი, მარიამ ახვლედიანი, ნინო გოლიაძე, ნათია გოგიშვილი,
თიკო ქართველიშვილი, სალომე მაცაბერიძე, ალექსანდრე შულაია

თბილისი,

2015 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნა	3
შესავალი	5
კვლევის მიზანი	5
კვლევის მეთოდოლოგია	6
შერჩევა	6
მონაცემთა ანალიზის მოკლე აღწერა	7
ანალიტიკური ანგარიში	7
ექსპერტთა მოსაზრებები	14

შემაჯამებელი დასკვნა

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ წარსულში არსებული სტერეოტიპები, რომ მამაკაცი „ოჯახის მარჩენალია“ და გადის სახლიდან საშოვარზე, ქალი კი სახლში რჩება და მეორად საქმეებზე აკეთებს აქცენტირებას (ბავშვის მოვლა,ოჯახზე ზრუნვა) წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს აპრიორს საზოგადოებაში. გამოირკვა, რომ ორივე სქესთან მიმართ არსებული სპეციფიკური თავისებურებები განაპირობებს კიდევ შემდგომში ადამიანის სამომავლო კარიერის შექმნას დიფერენცირებულ „კაცურ“ და „ქალურ“ პროფესიებზე. ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, რომ ორივე სქესის წარმომადგენელს მტკიცედ სწამს, რომ ესეც უნდა იყოს, ეს ბუნებრივია და მომავალ თაობებსაც გადასცემენ იმ სტერეოტიპებს, რომლებიც მათ წინაპრებმა შემოუნახეს. აქვე გამოიკვეთა ის თვისებები თუ უპირატესობები, რაც რესპონდენტების თქმით გააჩნია მამაკაცს საქმის შესრულების პროცესში: სიმლიერე, ტექნიკური აზროვნების უნარი, საქმისადმი თავის გადადება, ხოლო შემდგომში ეს თვისებები დაკავშირებულია ისეთ ზედა კარიერულ თანამდებობების დაკავებასთან მამაკაცების მიმართ, როგორცაა: დიპლომატი, ელჩი, პოლიტიკოსი და სხვ. გამოიკვეთა ასევე საინტერესო მოსაზრებაც, რომ ყოველივე ამის პარალელურად ქალები უფრო მეტად მიზანდასახულები არიან. მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცები „თავისთავად სოციალურად მისაღებ“ მაღალ იერარქიულ პოზიციებზე საქმეებიან საკმაოდ იოლად, ხოლო ქალებს ამისათვის უდიდესი ბრძოლა და ძალისხმევა სჭირდებათ.

ყოველივე ამ დიფერენციაციის მიზეზად რესპონდენტები მიიჩნევენ იმას, რომ არსებული სტერეოტიპების მიხედვით განათლების მიღების კუთხით უპირატესობა ბიჭს ენიჭებოდა და ის მიიჩნეოდა ოჯახის ბატონ-პატრონად. თუმცა ეს სტერეოტიპი მათი თქმით დღეს ინგრევა და მდებარეობითი სქესის ადამიანებსაც ეძლევათ სასურველი განათლება.

გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია: რესპონდენტები ფიქრობენ, რომ დღეს უმაღლესი განათლება დამოკიდებულია ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე - მაღალშემოსავლიანი ოჯახი ორივე სქესის წარმომადგენელს თანაბრად აფინანსებს სწავლის კუთხით, ხოლო დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახი უპირატესობას მამრობითი სქესის წარმომადგენელს ანიჭებს და სასურველ განათლებას აძლევს. შესაბამისად წარსულში არსებული ტენდენცია - უმაღლესი განათლება მამრობით სქესს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩაანაცვლა ეკონომიკურმა სტრატეგიკაციამ - მაღალშემოსავლიან ოჯახში განათლებულია ორივე სქესი, დაბალშემოსავლიან ოჯახში - მამრობითი სქესი.

გამოკითხვის შედეგად გადანაწილდა ის პროფესიები, რომლებიც რესპონდენტების თქმით მეტად სასურველია მამაკაცისთვის, ხოლო პროფესიები, რომლებიც სასურველია ქალბატონებისთვის. (იხ. დანართი N1).

დაბოლოს, მიუხედავად მოზღვავებული პროტესტისა, რომელიც შეიმჩნევა მდედრობითი სქესის რესპონდენტებში, ისინი მაინც ვერ აღწევენ თავს შეხედულებას, რომ მამაკაცი უპირატესია საზოგადოებაში. ქალები არ ცდილობენ „დაამსხვრიონ შუმის ჭერი“ და გაუთანაბრდნენ მამაკაცებს.

შესავალი

დღეს საქართველოში აქტუალურია თემა ქალის გენდერული როლი. საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი არ არის ცალსახა. ერთი მხრივ, არსებობს ტენდენცია, რომ ქალის უმთავრესი და ხშირად ერთადერთი როლი ოჯახის შექმნა, დიასახლისობა და დედობაა, ხოლო მეორე მხრივ, არაერთი კრიტიკული მოსაზრება გამოთქმულა მსგავსი მიდგომის საპირისპიროდ და დღესაც ბევრი ადამიანი იმაღლებს ხმას ამ საკითხის მიმართ არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგ.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქართული საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა ქალის გენდერული როლის მიმართ. ამ მიზნის განხორციელებისთვის საჭირო გახდა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- დაგვედგინა დამოკიდებულება ქალის გენდერული როლის შესახებ ოჯახში;
- გაგვეგო რა წარმოდგენებია ქალის გენდერული როლის შესახებ სახელმწიფოში/პოლიტიკაში;
- დაგვედგინა რა ასოციაციები არსებობს ქალის გენდერული როლის შესახებ რელიგიაში;
- რა დამოკიდებულებები არსებობს ქალის გენდერული როლის შესახებ შრომით ტენდენციების მიმართულებით;
- რა სახით ხდება ქალის გენდერული როლის ჩამოყალიბება

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, რომელიც დაგვჭირდა იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს სტერეოტიპების შესახებ თხრობას, რომელიც არსებობს ქართულ საზოგადოებაში ქალის გენდერული როლის მიმართ.

შერჩევა

შერჩევის კრიტერიუმებია ასაკი და ოჯახური მდგომარეობა (35 წლამდე და 35 წლის ზემოთ რესპონდენტები. დაოჯახებული და დასაოჯახებელი რესპონდენტები) ვინაიდან ვფიქრობთ, რომ განსხვავებული ასაკობრივი კატეგორიის ადამიანებს განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნიათ საკვლევი თემის მიმართ. ასევე ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე დაფიქსირდა განსხვავებული მოსაზრებებიც. ჩატარდა 15 ინტერვიუ, სადაც რესპონდენტები მეტ-ნაკლებად გულწრფელად საუბრობდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს საქართველოში როდესაც საქმე ეხება ქალის როლს. ასევე ჩავატარეთ ექსპერტთა გამოკითხვა, სადაც ექსპერტების რანგში მოვიწვიეთ საზოგადოებრივი რესურსების(HR) მართვის უფროსები(სულ 8 ექსპერტი სხვადასხვა სამსახურებიდან), რადგან გვინტერესებდა თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით სამსახურებში, რომელ სქესს ანიჭებენ უპირატესობას, არსებობს თუ არა პროფესიები, რომლებიც მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი და სხვ.

საველე სამუშაოები

ინტერვიუები საშუალოდ გრძელდებოდა 45წთ-ერთი საათის ხანგრძლივობით. ისინი ჩავატარეთ მშვიდ და მყუდრო ადგილას, რომელიც გამოგვიყო სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა და შეგვიქმნა კომფორტული გარემო რესპონდენტებთან სასაუბროდ.

მონაცემთა ანალიზის მოკლე აღწერა

ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ გაბრიელ კაპაის ანალიზის 7 დონე, რომელმაც საშუალება მოგვცა ზედმიწევნით გაგვეანალიზებინა ის პასუხები, რომლებიც დაფიქსირდა რესპონდენტების მიერ და გამოგვეხატა საერთო ტენდენციები.

ანალიტიკური ანგარიში

რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ წარსულში არსებობდა სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მამაკაცს უნდა მიეღწია კარიერული წარმატებისთვის, ხოლო ქალის კარიერა მეორეხარისხოვან საკითხს წარმოადგენდა. უხსოვარი დროიდან ხდებოდა ქალისა და მამაკაცის ფუნქციების დიფერენცირება, ქალი ასრულებდა ექსპრესიულ როლს და მამაკაცი ინსტრუმენტალურს, რაც იმას ნიშნავს, რომ მამაკაცი გადიოდა სახლიდან ოჯახის გარეთ და ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოს ოჯახის სარჩენად, ხოლო ქალები რჩებოდნენ ოჯახის შიგნით და მათი ძირითადი მოვალეობა იყო ოჯახზე ზრუნვა. რესპონდენტების აზრით, ეს ტენდენცია საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა და ზოგ შემთხვევაში გრძელდება დღესაც.

„ჩემი აზრით კი, ჯერ კიდევ ხდება ჩვენს საზოგადოებაში სქესის მიხედვით დიფერენციაცია....ეს ჩანერგილი აქვთ ბავშვობიდანვე, რომ ბიჭს აქვს თავისი საქმე, გოგოს თავისი, ის რომ გოგომ უნდა აკეთოს ე.წ „გოგოს საქმე“ და ბიჭმა „ის რაც ბიჭის საქმეა“ (რესპონდენტი N9)

„საზოგადოებაში ისეთი მოსაზრებები ხშირად ისმის ხოლმე, რომ ქალი გათხოვდება არაუშავს, სწავლა რათ უნდა, მაგრამ ბიჭმა უნდა ისწავლოს.“ (რესპონდენტი N4)

კარიერასთან დაკავშირებით სქესის ნიშნით განსხვავებული იდეები განაპირობებს განსხვავებული პროფესიის არჩევას. სწორედ ამან გამოიწვია საქართველოში „ქალური და კაცური“ პროფესიების ჩამოყალიბება.

მათი თქმით ეს დამოკიდებულება იმდენად გამჯდარი აქვთ როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს, რომ მომავალ თაობას კარიერასთან დაკავშირებულ განსხვავებულ შეხედულებებს კიდევ უფრო განუმტკიცებენ და ურჩევენ პროფესიებს, რომლებიც „კაცური“ ან „ქალური“.

პროფესიებს, რომლებსაც სჭირდებათ ფიზიკური სიძლიერე, ტექნიკური აზროვნების უნარი, საქმისადმი თავის გადადება, ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები და დღევანდელ რეალობაში სწორედ ასეთი სამუშაოები ფასდება. ასევე მაღალი იერარქიულ თანამდებობებზე, როგორებიცაა მაგალითად დიპლომატი, ელჩი, პოლიტიკოსი და სხვა.

მიუხედავად ამისა, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალები უფრო მეტად შრომისმოყვარეობით და მიზანსწრაფულობით გამოირჩევიან, ვიდრე მამაკაცები იმიტომ, რომ სოციალური მოლოდინები უზრუნველყოფენ „მამაკაცური პოზიციის დაკავებას (მაღალ სამსახურებრივ იერარიაზე) ხოლო ქალებს ამ პირობებში უდიდესი ბრძოლა სჭირდებათ, რაც მათ მიზანდასახულობას და ბრძოლის უნარს უვითარებს. ეს ყველაფერი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ქართულ ოჯახებში განათლების მიღების საკითხი სქესის კუთხით განიხილებოდა და უპირატესობა ბიჭს ენიჭებოდა, რადგან ის მიიჩნეოდა ოჯახის „პატრონად“. რესპონდენტები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ადრე უფრო მეტად ენიჭებოდა უპირატესობა ბიჭის განათლებას, მაგრამ ახლა განათლების მიღება გოგოსთვისაც თანაბარი მნიშვნელობისაა. დღეს თუ ოჯახი არჩევანის წინაშე დადგება ფინანსური თვალსაზრისით, რომელ შვილს მისცემენ განათლებას უპირატესობა განიხილება არა სქესით, არამედ ბავშვის მოტივაციით და შესაძლებლობებით. ასევე უნდა აღინიშნოს რომ შეიმჩნევა განსხვავებული ტენდენციებიც. უმაღლესი განათლების მიღება

დამოკიდებულია ოჯახის შემოსავალზე. მაღალშემოსავლიანი ოჯახი ორივე სქესის წარმომადგენელს თანაბრად დააფინანსებს განათლების მიღებისას, დაბალშემოსავლიან ოჯახში კი ხდება სქესის ნიშნით გარჩევა (აფინანსებენ ბიჭს). შედეგად კი წარსულში არსებული ტენდენცია - უმაღლესი განათლება მამრობით სქესს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩანაცვლა ეკონომიკურმა სტრატეგიკაციამ - მაღალშემოსავლიან ოჯახში განათლებულია ორივე სქესი, დაბალშემოსავლიან ოჯახში - მამრობითი სქესი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ განათლების მიღება გოგოსთვის მეტად საჭიროა, რადგან პირველ რიგში სუსტი არსებაა და შემდეგ განათლების არ მქონე კაცს და ქალს შორის დასაქმების მეტი შანსი მამაკაცს აქვს, რადგან ფიზიკური სიძლიერე და სხვა ფაქტორები აძლევს მას ამის საშუალებას. ამან კი მიგვიყვანა პროფესიების დაყოფასთან სქესის ნიშნით.

პროფესიების განაწილება სქესის ნიშნით მოხდა შემდეგნაირად:

	პოლიციელი	დიზაინერი	ექიმი	ექთანი	მოდელი	მზარეული	ტაქსისტი	პედაგოგი
მდ	+	+	+	-	+	+	+	-
მამრ	-	+	+	+	+	+	-	+

(დანართი NI)

პროფესიული დაყოფის შემდეგ მნიშვნელოვანია ვისაუბროთ კარიერულ წინსვლაზე. რესპონდენტებმა გამოყვეს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ქალთა კარიერულ წინსვლაზე. პირველ რიგში ქალებს კარიერულ წინსვლაში ხელს უშლის ოჯახში როლების გადანაწილება. ქალები როგორც ვიცით მუშაობენ „ორ ცვლაში“ - გარდა სამსახურში გატარებული დროისა, ისინი საკუთარი დროის უდიდეს ნაწილს უთმობენ ოჯახზე ზრუნვას, რადგანაც „ტრადიციულად ქალი უნდა იყოს ოჯახისთვის თავგადასხეული“. აქედან გამომდინარე ნაკლები დრო რჩებათ

კარიერისთვის და აღსანიშნავია, რომ თავად მდედრობითი სქესის რესპონდენტები პირველ ადგილზე ოჯახს აყენებენ, შესაბამისად ვერ ამსხვრევენ სამსახურეობრივი სტრატეგიკაციის „შუშის ჭერს“.

გარდა ოჯახისა და თვითშეფასების ფაქტორებისა რესპონდენტები გამოყოფენ გონებრივი შესაძლებლობების ფაქტორს. სუბიექტური აზრითა და დამოკიდებულებით რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობები თანაბარია, თუმცაზოგად ტენდენციაზე საუბრობრისას ამბობენ, რომ არსებობს სტერეოტიპი - მამაკაცი უფრო ჭკვიანია განსაკუთრებით კი ტექნიკურ სფეროში.

***“ზშირად მსმენია ჩემს ირგვლივ, რომ მამაკაცები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ქალები და ამას არც ქალები უარყოფენ, მე ასე არ ვფიქრობ, მგონია, რომ ქალიც და მამაკაციც ისევე როგორც სხვა საკითხებში, აქაც თანასწორია“.* (რესპონდენტი N9)**

ჩვენი კვლევის ფარგლებში ნათლად დავინახეთ, რომ მიუხედავად ამდენი პროტესტისა ქალები მაინც ვერ აღწევენ თავს შეხედულებას, რომელიც მამაკაცის უპირატესობას უსვამს ხაზს. თავად ქალბატონი რესპონდენტების განცხადებით სასურველია თანაბარი შემოსავალი ჰქონდეს ქალსა და მამაკაცს, ეს იქნებოდა „იდეალური ვარიანტი“ მაგრამ თუკი მხოლოდ ერთის უპირატესობაზე მიდგება საქმე, სასურველი მამაკაცს ჰქონდეს მეტი და შეძლოს ოჯახის რჩენა, რადგან „უუნარობამ“ მის თვითშეფასებაზე არ იმოქმედოს. ამგვარად, ცხადია, რომ გენდერული დისბალანსი კარიერულ წინსვლაში და სამსახურეობრივ იერარქიებთან დაკავშირებით მხოლოდ მამაკაცებისგან არ მომდინარეობს. ქალები თავად არ ცდილობენ დაამსხვრიონ შუშის ჭერი და გაუთანაბრდნენ მამაკაცებს.

გამოკითხულთა პასუხებში შეიმჩნევა განსხვავება. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები აფიქრისებდნენ, რომ მათთვის უფრო მეტად მისაღებია შერეულ გუნდთან მუშაობა, ლიდერის შემთხვევაში კი სქესი გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს, მთავარია კომპეტენტურობა. განსხვავებული აზრი დაფიქსირდა

მამაკაცებში. მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობას შერეულ ჯგუფს ანიჭებენ, მათ ურჩევნიათ ლიდერი მამაკაცი, რადგან ისინი მეტად რისკიანები არიან. აუცილებელი აღინიშნოს, რომ თუ ქალები განიხილავენ ქალების ლიდერობის საკითხს - პრიორიტეტად მათთვის დამახასიათებელ თვისებებს ასახელებენ: დიპლომატია, შრომისმოყვარეობა.

როგორც ვიცით, პოლიტიკაში ქალების ჩართულობა მათი განვითარებისა და წინსვლისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ევროპის ქვეყნებში ქალთა რიცხვი პარლამენტში ასე გამოიყურება:

- < საფრანგეთის პარლამენტი- 577 პარლამენტარი, 155(27%) ქალი
- < დიდი ბრიტანეთის პარლამენტი- 650 პარლამენტარი, 143(22%) ქალი
- < ნორვეგიის პარლამენტი- 169 პარლამენტარი, 67(40%) ქალი
- < გერმანიის პარლამენტი- 630 პარლამენტარი, 229(36%) ქალი

(დანართი N2)

ლიდერობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო მმართველობის სფეროა, რომელშიც დღეს ძირითადად მოიაზრება პოლიტიკა. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა თანაფარდობითაა ქალები და მამაკაცები პოლიტიკაში ჩართული. საყურადღებოა საქართველოს მდგომარეობა, რადგან ჩვენს ქვეყანაში ქალების მხოლოდ 11%-ია ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში. გამოკითხულთა უმრავლესობას ქალების პოლიტიკაში ჩართვა მართებულად მიაჩნია, რადგან ამით მოგვარდება მთელი რიგი პრობლემები.

პირველ რიგში ქალი მოიაზრება დიპლომატად და ლიბერალად, თავისი მრავალ-ფუნქციური ბუნებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ერთდროულად მრავალ საკითხზე ფიქრი და ასევე წარმატებული მოლაპარაკებების წარმართვა. გარდა ამის მისი ეს პიროვნული თვისებები შეამცირებს პარლამენტში დამაბულობას და მეტად ცივილიზებულ გარემოს შექმნის.

რესპონდენტების თქმით პოლიტიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სტერეოტიპულ მიდგომებს. მიზანშეწონილია პოლიტიკაში იყოს გენდერული ბალანსი, რაც შემდგომში უზრუნველყოფს საზოგადოებაში თვითშეგნების ამაღლებას, გენდერული სტერეოტიპების ნგრევას, რომელიც მიმართულია ქალთა დისკრიმინაციისკენ.

ამგვარი სტერეოტიპების რღვევის ერთ-ერთ საშუალებად მსოფლიოში მიჩნეულია „კვოტური სისტემა.“

სლოვენიაში გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ 33% კვოტა ორივე სქესისათვის. პოლონეთში 30% კვოტა ორივე სქესისთვის შემოღებული აქვს სამ პარტიას: დემოკრატიულ მემარცხენე ალიანსს, შრომის კავშირსა და თავისუფლების კავშირს.

ჩეხეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არჩეულთა 25% უნდა იყოს ქალი. თუ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია ვერ დაასახელებს 25%-ს ქალ კანდიდატს, მაშინ სოციალ-დემოკრატების ქალთა ორგანიზაციას აქვს უფლება დაასახელოს ექსტრაკანდიდატები კვოტის შესავსებად.

უნგრეთში სოციალისტურ პარტიას აქვს დაწესებული 20% კვოტა ქალებისათვის.

ნორვეგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი 70/80-ანი წლებიდან უერთდებიან კვოტური სისტემის პირველ ნაბიჯებს და თანდათანობით ზრდიან ქალების ჩართულობას პოლიტიკაში. მაგალითად გერმანია 1980-იანი წლებიდან მხარს უჭერს საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდისკენ მიმართულ საქმიანობებს, ბუნდესტაგში ქალთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა და საბოლოოდ 2005 წლისთვის 31.8%-ს მიაღწია.

დიდ ბრიტანეთში 2001 წელს პარლამენტმა მიიღო სქესთა დისკრიმინაციის აქტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა პოლიტიკურ პარტიებს განეხორციელებინათ პოზიტიური ქმედებები ქალ კანდიდატთა სასარგებლოდ. (გენდერული კვოტების

გლობალური მონაცემთა ბაზა, დემოკრატიისა და არჩევნების საერთაშორისო ინსტიტუტი და სტოკჰოლმის უნივერსიტეტი)

მიუხედავად იმისა რომ უმრავლესობას პოლიტიკაში ქალების ჩართვა მნიშვნელოვნად მიაჩნია, კვოტური სისტემის მიმართ არ არიან ერთპიროვნულად განწყობილები. გამოიკვეთა აზრი, რომ კვოტური სისტემა მისაღებია იმიტომ, რომ დაცული იქნება გენდერული ბალანსი და ამასთანავე ქალებს მიეცემათ მეტი მოტივაცია.

„შეიძლება ამ მოცემულობისთვის სამართლიანი იყოს იმგვარად, რომ წავახალისოთ ქალების პოლიტიკაში ჩართულობა“ (რესპონდენტი N2).

თუმცა ამის საპირისპიროდ იკვეთება მოსაზრება, რომ ეს სისტემა შეიძლება გახდეს კომპეტენტური კადრების დათრგუნვის მიზეზი. სტერეოტიპები საზოგადოებას უბიძგებს მკაცრად განსაზღვრონ ის თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს იდეალურ კაცს და ქალს.

ამ თვისებებიდან გამომდინარე საზოგადოებაში არსებობს მოლოდინები რა ფუნქციები აქვს ქალს და რა ფუნქციები მამაკაცს. ეს კი როგორც უკვე ვისაუბრეთ, გავლენას ახდენს თითოეული სქესის კარიერულ წინსვლაზე. ზოგადი შეხედულებებით ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი თვისებები როგორცაა: მზრუნველობა, შრომისმოყვარეობა, რეალიზაციის უნარი, წარმატებისკენ სწრაფვა, ინტელექტი. მაგრამ გამოიკვეთა რომ ქალისთვის მაინც პრიორიტეტული თვისებებია კარგი დედობა, მეოჯახეობა, მზრუნველობა. კაცისთვის კი თვისებები: გაწონასწორებულობა, სიძლიერე, დამოუკიდებლობა.

ექსპერტთა მოსაზრებები

სამსახურში მიღების კრიტერიუმების შეფასება სხვადასხვა პოზიციაზე ხდება პიროვნული და პროფესიული თვისებების მიხედვით და არა სქესის ნიშნით. თითოეულ სფეროს(გამოკითხულებს) აქვს დაწესებული შესაბამისი მოთხოვნა. ეს შეიძლება იყოს გამოცდილება, შესაბამისი სერტიფიკატი, ვაკანსიის შესაბამისი რეზიუმე. სქესის ნიშნით პოზიციების დიფერენცირება არ ხდება და კომპანიებისთვის სასურველია გენდერული ბალანსი, თუმცა მათი თქმით არის პოზიციები, რომელიც მხოლოდ მამაკაცებისთვისაა ან პირიქით ქალებისთვის. ტექნიკური სფერო უფრო მამაკაცებისთვისაა(ტექნიკური მენეჯმენტი, კურიერი, მძღოლად მამაკაცები მიაზრებიან ასევე). მომსახურების სფერო -რეციპიენტი, დამლაგებელი კი გოგო.

თანაბარი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ქალსა და მამაკაცს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ ამა თუ იმ პოზიციაზე დასაქმების. გადამწყვეტი როლი ენიჭება არა სქესს, არამედ პიროვნულ თვისებებს. ორივე სქესისთვის პიროვნული თვისებები დასახელდა: პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, საქმისადმი ერთგულება, შრომისმოყვარეობა. იმ პოზიციებზე, რომელიც მოიცავს კლიენტებთან ურთიერთობას ემატება ასევე ვიზუალი, მოწესრიგებულობა, მონდომებულობა. რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას- ეს არ არის დაბრკოლება დასაქმების მხრივ, თუ თავად აპლიკანტი შეძლებს დროის რაციონალურად განაწილებას.

რესპონდენტები ამბობენ, რომ ქალები უფრო მონდომებულები არიან, დეტალებზე ორიენტირებულები და ამავე დროს ნაკლებად ინოვატორები კაცებთან შედარებით, რაც კარგად ჩანს სამუშაოსთვის დახარჯულ დროზე.(ქალები უფრო მეტ დროს ანდომებენ დავალებების შესრულებას კაცებთან შედარებით). კაცები მეტად არიან ორიენტირებულნი დაწინაურებაზე, ხოლო ქალები დაბალ პოზიციებსაც თანხმდებიან. დამსაქმებლები დაწინაურების შანსსს ორივეს აძლევენ. ამბიციები და

ქალი და კარიერა

შესაძლებლობები ორივეს აქვთ, თუმცა კაცები უფრო მონდომებულები არიან, მეტად კარიერისტები არიან.

გენდერული ბალანსი გამოკითხულ კომპანიებში:

სფერო	ქალი %	კაცი%
ფინანსური	70	30
მომსახურების	62	38
სამედიცინო	ძირითადად ქალები	
ინფორმაციული ტექნოლოგიები	50%-ზე მეტი	